საქმე № 330210115001138277
საქმე №2ბ/5417-15

1207372328334

თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

18 თებერვალი, 2016 წელი **თბილისი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: ხათუნა არევაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – ქალაქ თბილისის მერია

მოწინააღმდეგე მხარე – მ. გ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებულ განჩინებათა დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მ. გ.-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და შეჩერდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულების მიერ 2015 წლის 22 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ვ., მე-X მასივი, მე-X კვარტალი, მე-X კორპუსში მდებარე ბინა №X-ში აღწერილი და დაყადაღებული (აქტი №789XX) შემდეგი დასახელების ნივთების რეალიზაცია: 1) ტელევიზორი "ელჯი"-ს ფირმის; 2) კომოდი, მუქი ფერის, ხუთუჯრიანი; 3) ტრილიაჟი სარკით; 4) მაცივარი "ექსპრესის" ფირმის; 5) გაზქურა "ბეკოს" ფირმის.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი

ნაწილისმიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

სასამართლოს მითითებით დადგენილია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულების მიერ 2015 წლის 22 ოქტომბერს, ქ.თბილისში, ვ., მე-X მასივი, მე-X კვარტალი, მე-X კორპუსში მდებარე ბინა №X-ში აღწერილი და დაყადაღებული იქნა (აქტი №78XXX) შემდეგი დასახელების ნივთები: 1) ტელევიზორი "ელჯი"-ს ფირმის; 2) კომოდი, მუქი ფერის, ხუთუჯრიანი; 3) ტრილიაჟი სარკით; 4) მაცივარი "ექსპრესის" ფირმის; 5) გაზქურა "ბეკოს" ფირმის.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის დაბრუნება.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის ინფორმაციით დადგენილია, რომ სადავო ნივთების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გამოცხადებული არ არის.

სასამართლომ განმარტა რომ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, თუ არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება ან შეუძლებელი გახდება, ანუ აღნიშნული გულისხმობს იმგვარ ღონისძიებათა მიღებას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გარანტირებულს გახდის სასარჩელო მოთხოვნათა რეალიზაციას. სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს წყვეტს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის გათვალისწინებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაყადაღებული ქონების გასხვისების შემთხვევაში შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, რის გამოც დავის საგნის დაცვის

საჭიროებიდან გამომდინარე, გამართლებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქონების რეალიზაციის შეჩერება.

2015 წლის 10 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა და თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 17.11.2015წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადმოეგზავნა.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ საჩივარს, ,შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა და ეს მიზანი ნათლადაა გამოკვეთილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა ესაა სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით და მისი მიზანია, დაცული იქნას დავის საგანი მომავალში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ გულისხმობს სარჩელის წინასწარ გადაწყვეტას და მის დაკმაყოფილებას არსებით განხილვამდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქონების რეალიზაციის შეჩერება თუ აღძრულია სარჩელი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ ან განმცხადებელი აპირებს ამ მოთხოვნით სარჩელის აღძვრას.

განსახილველ შემთხვევაში, პალატა ყურადღებას ამახვილებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრის საფუძვლებზე სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობასა და უსაფუძვლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან მიმართებით პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ სარჩელს არ ახლავს მტკიცებულებები, რომლებიც მოსამართლეს დასაბუთებულ ვარაუდს შეუქმნიდა, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს, საქმეზე არსებითად მსჯელობის საგანია, რამაც ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან არ დაკმაყოფილებაზე. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას კი, სასამართლო არ მსჯელობს საქმის არსებით მხარეზე. სარჩელის უზრუნველყოფა ისეთი დროებითი ღონისძიებაა, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად

დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება და სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლებების რეალიზაციას უწყობს ხელს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, არ არის დასაბუთებული თუ რა გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია სასამართლომ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელდებოდა ან შეუძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების აღსრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს შემდეგს:

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მას ყადაღადადებულ ნივთებზე გააჩნია უფლება და წარმოადგენს მის საკუთრებას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგნის რეალიზაცია შეუძლებელს გახდის მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მის აღსრულებას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახ“ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებულია მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ. კანონის მითითებული დებულება ადგენს სარჩელის სახეს და სარჩელზე მოპასუხე სუბიექტებს. დასახელებული ნორმის მიხედვით, სასამართლოს წარედგინება სარჩელი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ. ამგვარი სარჩელის მიზანს წარმოადგენს აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლება, რათა არ მოხდეს მოსარჩელეთა კუთვნილი ქონების მიქცევა აღსასრულებლად.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის ''დ'' ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა, – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა წარმოშობს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობის ვარაუდს. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელიც მიმართულია არა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულებისაკენ. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფა მისი მატერიალურ - სამართლებრივი მოთხოვნისთვის გარანტიის შექმნისა და დაცვის ღირსი ინტერესის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მოსარჩელის მიერ მოსალოდნელი რისკის გონივრული დასაბუთებით და იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით შესაძლებელია, ვეღარ მოხდეს მისი კანონიერი ინტერესის დაცვა, ვინაიდან არსებობს გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საშიშროება. პალატის მოსაზრებით, გამოუსწორებელია ის ზიანი, რომელსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს. ამ ტიპის ზიანი გამორიცხავს ზიანის დადგომამდე არსებული სამართლებრივი თუ ფაქტობრივი მდგომარეობის კვლავ მოპოვებას, ანუ შეუძლებელია პირვანდელი სახის აღდგენა და რიგ

შემთხვევებში ამგვარ ზიანს გამოსწორებადი ალტერნატივა არ გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგი დადგეს, რამეთუ აუქციონის მეშვეობით ნივთების გასხვისება კეთილსინდისიერ შემძენზე უსპობს განმცხადებელს (მოსარჩელეს) შესაძლებლობას, საკუთრებაში დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ქონება.

შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე, 191-ე, 198-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **ლილი ტყემალაძე**

მოსამართლეები: **ხათუნა არევაძე**

ვანო წიკლაური